ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 ოქტომბერი, 2022 №199 (8977) ფასი: 80 თეთრი

თელავში ახალგაზრდა ქალი მოკლეს



გვ.5

ვაჟა-ფშაველას გამზირზე ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს

„ივანიშვილი ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აპირებს“

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „სააკაშვილიც და გვარამიაც ივანიშვილის ხელში შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან სავაჭროდ ოქროს მძევლები არიან“

„ბიძინამ ზუსტად იცის, საიდან რა საფრთხე ელოდება. რუსეთიდან მას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების რისკები, ხოლო დასავლეთიდან — ფინანსური უსაფრთხოებისა. შესაბამისად, მას ახლა ტრიუკების ჩატარება სჭირდება“

„სააკაშვილი გამოჯანმრთელდება და დაამტკიცებს, რომ ნაციონალების ლიდერია“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „თუ ქუჩაში 200-300 ათასი ადამიანი გამოვა, ბიძინა ივანიშვილი დამარცხებას აღიარებს“

რუსეთში ანტიუკრაინული და ანტიდასავლური პოლიტიკის კრახი შეინიშნება

გვ.4

საქართველოში ანტიდასავლური კამპანია ისევ აქტიურია

მიხეილ სააკაშვილი: „ვიბრძვი სიცოცხლისთვის“

გიული ალასანიას თქმით, მიხეილ სააკაშვილის ამერიკელი ექიმი დარწმუნდა, რომ მძიმე მდგომარეობაა

გვ.2

იაგო ხვიჩია: „ვამჯობინებდი, რომ სააკაშვილის პრობლემა ქართველებს მოგვშორებოდა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ მთელი ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით ყველაზე რეკორდული, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს“

გვ.3

გვ.5

საბერძნეთში 39 წლის ქართველ მამაკაცს 19-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

გვ.6

ესტონეთის პრემიერი: „პუტინმა თვალი დაადგა მოლდოვას, მიზანში ამოიღო საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნები“

1993230720223

5 თერჯოლის მერი, ლაშა გოგიაშვილი, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა

2 მეუფე იაკობი: „ომმა ბავშვის ეროვნების განსხვავება არ იცის“

7 ხვიჩა კვარაცხელია: „მე და ნაპოლის ზღვარი არ გვაქვს“

3 ეკა ბესელია: „ბიძინა ივანიშვილის დიდმა ფულმა ცდუნებების მორევში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაითრია“

„ივანიშვილი ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აპირებს“

ლელა ჯეჯელავა: „სააკაშვილიც და გვარამიაც ივანიშვილის ხელში შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან სავაჭროდ ოქროს მძევლები არიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, ბოლო დღეებია, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი კვლავ საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. ჩამოვიდნენ უცხოელი ექსპერტები, რომლებმაც მისი ჯანმრთელობის შესახებ დასკვნა უნდა დადონ. ხელისუფლებას მათი არ სჯერა. კალაძე აცხადებს, რომ უცხოელი ექიმებიც იტყუებიან. რა ხდება, სად არის ტყუილ-მართალი?

– რა გითხრათ, ჩვენს ხელისუფლებას რომ ჰკითხო, მთელი მსოფლიო ებრძვის ბიძინა ივანიშვილს. საბოლოოდ უნდა გაარკვიონ, დინების წინააღმდეგ მიდიან თუ რა ხდება. ასე ყველას ებრძოდეს ხელისუფლება, მართლა არ მინახავს, არც გამიგია აქამდე. დაწყებული ევროკავშირიდან, დამთავრებული შეერთებული შტატებით, ჩვენს ხელისუფლებას ყველასთან ბრძოლა აქვს გამოცხადებული, რუსეთის გარდა. ახლა, ეტყობა, მიაჩნიათ, რომ ამერიკელი ექიმებიც რაღაცა შეთქმულებას უწყობენ და მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის არასწორ დიაგნოზს წერენ.

მიხეილ სააკაშვილიც და ნიკა გვარამიაც, სააკაშვილი განსაკუთრებით, არის ოქროს მძევალი ბიძინა ივანიშვილის ხელში შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან სავაჭროდ. კარგად მოგეხსენებათ, რომ მთელი სახელისუფლებო გუნდი და მათი იდეოლოგები ერთხმად წერდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა რადგან არ დაიწყო ომი, მას შეუზღუდეს საკუთარ ფულზე წვდომა. მისი გუნდი ამ უსამართლობამ იმდენად გაახვია აბსურდში, რომ ვერც კი ხვდებიან, თუკი ბიძინა ივანიშვილზე იყო დამოკიდებული ომის დაწყება-არდაწყება საქართველოში, მაშინ, გამოდის, რომ საქართველოს ისევ ბიძინა ივანიშვილი მართავს.

– ანუ აღიარებენ, რომ მმართველი ისაა?

– ღიად და საჯაროდ აღიარეს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ქვეყნის მმართველი, მასზეა დამოკიდებული ამ ქვეყანაში ომის დაწყება და ამიტომ შეუზღუდეს მას საკუთარ თანხებზე წვდომა. ამიტომ, როდესაც გამოდიან და მეორე წუთს ამტკიცებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი არ არის, იმიტომ, რომ ის პოლიტიკაში არ ერევა, უნდა გაიხსენონ, რა თქვეს ცოტა ხნის წინ.

– დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი ბიძინა ივანიშვილს არ უნდა შეეხოსო. მიიღებენ ამ კანონს?

– მე მგონია, რომ საბოლოო ჯამში ამ კანონპროექტს არ მიიღებენ. ძალიან სასაცილო

„ბიძინამ ზუსტად იცის, საიდან რა საფრთხე ელოდება. რუსეთიდან მას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების რისკები, ხოლო დასავლეთიდან – ფინანსური უსაფრთხოებისა. შესაბამისად, მას ახლა ტრიუკების ჩატარება სჭირდება“

იქნება, კანონპროექტი მოარგონ სხვას და არა ბიძინა ივანიშვილს. ამიტომ, ცხადია, შეუსრულებელს დატოვებენ ევროკავშირის რეკომენდაციას, ხოლო მერე შეეცდებიან, ხელი გაიშვირონ ოპოზიციისკენ, რომელიც უარს ამბობს, ამ კანონის უკრაინული ვერსია მიიღოს.

– რამდენად იმუშავებს ჩვენს ქვეყანაში უკრაინული ვერსია?

– რასაკვირველია, ჩვენ უკრაინისაგან სრულიად განსხვავებული მოცემულობა გვაქვს ამ ფინანსებისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ. ამაზე ორი აზრიც არ შეიძლება იყოს. უკრაინა და უკრაინის ხელისუფლება იმდენად სძულს „ქართულ ოცნებას“, რომ შესაძლებლობას არ უშვებს, დააკნინოს მათი როლი, მათი პერსონები და მაინცდამაინც ოლიგარქიის შესახებ დაწერილი კანონი მოეწონათ და ამაზე ჩაბჟირდნენ?! ეს არის მათი არაცნობიერი და უფრო მექანიკური რეაქციები მიმდინარე პროცესებზე და ეს თვითონ მათ უშლის ხელს იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად თავიანთთვის გამართული პოზიციები ჩამოიყალიბონ. სწორედ აქედან ჩანს ბიძინას საბედისწერო შეცდომა.

– რა შეცდომა?

– ვგულისხმობ გარემოცვას, რომ თავის გარშემო არ დატოვა პოლიტიკოსები, დატოვა მხოლოდ კლერკები, ერთგულების ნიშნით. დღეს სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი: ეს ადამიანები იმასაც ვერ ახერხებენ, რომ თავად ბიძინა ივანიშვილი დაიცვან. მათ რომ ჰგონიათ, იცავენ, უფრო მეტად აზარალებენ.

– „ხალხის ძალა“ გაფართოვდა გასულ კვირას, „ოცნებიდან“ კიდევ შეუერთდნენ დეპუტატები. რა ხდება, ქალბატონო ლელა, რა თამაშს თამაშობენ, რისთვის სჭირდებათ ეს ყველაფერი?

– ჩვენ ხომ ამაზე ვსაუბრობდით, რომ ეს მოსალოდნელი იქნებოდა! ეს არის ბალანსის თემა ბიძინა ივანიშვილისთვის. ბიძინამ ზუსტად იცის, საიდან რა საფრთხე ელოდება. რუსეთიდან მას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების რისკები, ხოლო დასავლეთიდან – ფინანსური უსაფრთხოებისა. შესაბამისად, მას ახლა სჭირდება ტრიუკების ჩატარება. ის ამის დიდოსტატია. თავადაც ასე თვლის. ერთ-ერთი ტრიუკის ნაწილია ეს ძალა, რომელმაც რუსეთის საამებლად ქვეყანაში ანტიდასავლური, კერძოდ კი ანტიამერიკული განწყობების კულტივირება უნდა მოახდინოს. მე ასე ვუყურებ ამ ყველაფერს, რომ პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, სანამ ისევ პრემიერ-მინისტრია, გაემიჯნება „ხალხის ძალის“ გამონათქვამებს. დიდი ალბათობით კი ის აუცილებლად შეიცვლება.

მე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი სერიოზულ ფორსმაჟორს მოუწყობს ოპოზიციას და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს.

– რატომ, რაში სჭირდება ახლა ვადამდელი ივანიშვილს, თავის გადარჩენის მიზნით?

– რასაკვირველია, თავის გადარჩენის მიზნით. 2024 წლის არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ შანსები და მით უმეტეს ამ „ხალხის ძალის“ აბსოლუტურად მინიმალური იქნება.

– კონსტიტუცია ხომ იცვლება, 2024-ში ახალი წესით იქნება არჩევნები.

– მე მაგას არ ვამბობ, რომ პროპორციულით იქნება არჩევნები და ამიტომ იქნება მინიმალური მათი შანსები, არა! საგარეო პოლიტიკური კონტექსტი იქნება ისეთი, ანუ უკრაინა-რუსეთის ფრონტიდან გამომდინარე, რომ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის გამარჯვების შანსები მინიმალური იქნება. თუ ბიძინა ივანიშვილი, ახლა, სანამ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია ომის ბედი, შეეცდება პოლიტიკური სივრცის თავად სტრუქტურიზებას, ეს, რასაკვირველია, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ოპოზიციას უკვე 2024 წელსაც კი.

მოგეხსენებათ, ჩვენი ოპოზიცია მაინცდამაინც საუკეთესო ფორმაში არ არის, არც ჩანს რაიმე წინაპირობა, რომ მათ განახლების, რეგენერაციის რაიმე შესაძლებლობა და რესურსი აქვთ. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი ვადამდელის დანიშვნას აპირებს და სწორედ ამიტომ იჩქარა „ხალხის ძალის“ ოფიციალურად გაფორმება.

– ვადამდელი არჩევნების მოტივი რა იქნება?

– პოლიტიკური კრიზისის შექმნას არაფერი არ უნდა. ისედაც პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე დავდივართ მუდმივად. რომელიღაცა მასზე დამოკიდებულ ოპოზიციურ პარტიას მოათხოვნინებს ვადამდელ არჩევნებს. ისედაც ხომ ითხოვს ოპოზიცია მას.

– ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და რას იტყვით მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებულ ნაციონალურ მოძრაობაზე? ძალიან ცუდი ამბები გამოდის შიგნიდან, ეს ცემა-ტყეპა, დაპირისპირება და მკლავის მოტეხები. რატომ მივიდნენ ამ მდგომარეობამდე?

– საერთოდ, საქართველოში პოლიტიკოსების დეფიციტი გვაქვს. როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობის დიდი ნაწილი მაინც იყო მიშას მიერ წარმოებული პოლიტიკის მომხმარებელი. მათ პოლიტიკოსისათვის საჭირო და აუცილებელი არანაირი უნარ-ჩვევები არ აღმოაჩნდათ. ამიტომაც დაპირისპირება ახლა სახეზე გვაქვს. ეს კი, რასაკვირველია, ნორმალურად არ წარმოაჩენს ამ პარტიის მდგომარეობას. ასეთი კრიზისები აქვთ ხოლმე პოლიტიკურ პარტიებს. იმედი ვიქონიოთ, რომ დააღწევენ თავს. სწორედ ეს მდგომარეობა და მათი შიდა დაპირისპირება კიდევ უფრო მეტ მოტივაციას შეუქმნის ბიძინას, რომ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, ვინაიდან ახლა თეთრ ცხენზე მხოლოდ ის ზის ოპოზიციის ამ მდგომარეობაში ყოფნის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მის პარტიას აღარც საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს და თავადაც ეს სანქციები დამოკლეს მახვილივით თავზე ჰკიდია. თუმცა შიდა პოლიტიკური კონიუნქტურა იმგვარია, რომ აქ პროცესებს ჯერჯერობით ისევ ბიძინა მართავს.

– როდისთვის პროგნოზირებთ ვადამდელ არჩევნებს?

– სავარაუდოდ, 2023 წლის გაზაფხულისთვის. არა მგონია, შემოდგომამდე მიიტანონ.

– და შემდეგ 2024-ის ერთ წელიწადში ისევ ჩატარდება?

– ალბათ ჩატარდება, იმიტომ, რომ 2024-ის არჩევნები უნდა იყოს პროპორციული. თუმცა ბიძინას ეს ყველაფერი მაინც უღირს. თუ 2023 წელს მოახერხა და ისეთი პოლიტიკური ველი შექმნა, როგორიც მას უნდა, ბუნებრივია, 2024 წლის არჩევნებზე შანსი დიდი აქვს. თუ ვადამდელი არ ჩაატარა და სიტუაცია არ შეცვალა, 2024-ისთვის მისი შანსები ძალიან მცირე იქნება.

იაგო ხვიჩია: „ვამჯობინებდი, რომ სააკაშვილის პრობლემა ქართველებს მოგვშორებოდა“

– ვამჯობინებდი, რომ მიხეილ სააკაშვილის პრობლემა ქართველებს მოგვშორებოდა და ისე გვეცხოვრა ამ ქვეყანაში, მაგრამ, მგონი, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის გაჭირდება იმის თქმა, რატომ გაუშვეს მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ სადღაც, – ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ უკრაინაში გადაყვანის საკითხზე ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ხვიჩიამ განაცხადა, მისი პარტია სააკაშვილის უცხოეთში გადაყვანას მისი პატიმრობის პირველივე დღიდან ითხოვდა და კარგია, რომ ამაში ნაციონალური მოძრაობაც აჰყვა.

– გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ჩვენი პოზიცია იყო, რომ მიხეილ სააკაშვილის მომხრეების მოთხოვნა მისი საზღვარგარეთ გადაყვანა ყოფილიყო. ჩვენ ამას მისი დაპატიმრების დღიდან ვითხოვდით და კარგია, რომ ნაციონალური მოძრაობა აგვყვა. სულ ვითხოვდით სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანას და დღესაც ამ აზრზე ვართ.

ვამჯობინებდი, რომ მიხეილ სააკაშვილის პრობლემა ქართველებს მოგვშორებოდა და ისე გვეცხოვრა ამ ქვეყანაში, მაგრამ, მგონი, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის გაჭირდება იმის თქმა, რატომ გაუშვეს მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ სადღაც. შესაბამისად, მგონია, რომ ეს არგუმენტი იქნება დასაძლევი და მიხეილ სააკაშვილსაც ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯების გადადგმა მოუწევს, – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

მიხეილ სააკაშვილი: „ვიბრძვი სიცოცხლისთვის“

– მე ვიცი, რომ უსაზღვროდ ბევრი ადამიანი მგულშემატკივრობს საქართველოშიც, უკრაინაშიც და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამისთვის უზომოდ მადლობელი ვარ.

მინდა იცოდეთ, რომ ყველა შინაგანი ძალის მობილიზაციით ვიბრძვი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. თქვენი სოლიდარობა მმატებს მხნეობასა და სულიერ სიმტკიცეს. როგორ სუსტადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ვფიქრობ თქვენზე. თქვენდამი ჩემი სიყვარული აუცილებლად გადამარჩენს!

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უსაზღვრო რწმენის თქვენი, ღვთისა და უკრაინის გამარჯვების!

თქვენი მიშა, – წერს ფეისბუქზე პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმებულია.

გიული ალასანიას თქმით, მიხეილ სააკაშვილის ამერიკელი ექიმი დარწმუნდა, რომ მძიმე მდგომარეობაა

საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი კატეგორიულად უარს ამბობს საკვების მიღებაზე და პრაქტიკულად სულ წევს.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს „ვივამედის“ კლინიკასთან განუცხადა, სააკაშვილს მოძრაობა არ შეუძლია.

– საკვებს ვერ იღებს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. კატეგორიულად უარს ამბობს. ვლაპარაკობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამის კომპენსაცია, გადასხმით ან რაღაცით. მამშვიდებს, წყნარად იყავი, ყველაფერი კარგად იქნებაო. როგორ იქნება კარგად, არ ვიცი, რადგან ვხედავ, რომ ყველაფერი ცუდად არის. პრაქტიკულად სულ წევს, ასეთ მდგომარეობაში ადრე არ ყოფილა. ეს რამდენიმე დღეა სულ წევს. არ შეუძლია ადამიანს მოძრაობა. ამერიკელი ექიმი დარწმუნდა, რომ არის მძიმე მდგომარეობა, ეს ეხება ხერხემალს, – განაცხადა გიული ალასანიამ.

მეუფე იაკობი: „ომმა ბავშვის ეროვნების განსხვავება არ იცის“

ბოდბელმა მიტროპოლიტმა მეუფე იაკობმა ქადაგებისას უკრაინაში მიმდინარე ომზე ისაუბრა.

მისი თქმით, ომში ეროვნებას არ განასხვავებენ და იქ იხოცებიან როგორც უკრაინელები, ისე რუსები და სხვა ეროვნების ადამიანები.

– ხშირად ამბობენ, უკრაინაში ბავშვებს კლავენო. სამწუხაროდ, ომი რომ მიდის, ეროვნება არ იცის, ბავშვის ეროვნების განსხვავება. როგორც უკრაინელები, ისე რუსები და სხვებიც იხოცებიან ხომ იქ. ამერიკის სასამართლომ გადაწყვეტილება რომ მიიღო და, მე ვფიქრობ, ძალიან ღირსეული გადაწყვეტილება, აბორტებთან დაკავშირებით ქალების უფლება ირღვევაო, დედები რომ მკვლელები იყვნენ საკუთარი შვილების, იმას მხარს უჭერენ და უკრაინელებზე წუხხარ მერე, კაცო? როგორ დაგიჯერონ, რომ უკრაინელებზე წუხხარ, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი გამოჯანმრთელდება და დაამტკიცებს, რომ ნაციონალების ლიდერია“

მურმან დუმბაძე: „თუ ქუჩაში 200-300 ათასი ადამიანი გამოვა, ბიძინა ივანიშვილი დამარცხებას აღიარებს“



ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ურთიერთდაპირისპირებას თქვენ რით ხსნით? შეიძლება, ეს პროცესი პარტიის მორიგი გაყოფით დასრულდეს?

– ვფიქრობ, არავითარი გაყოფა არ მოხდება. ამ ადამიანებს საერთო იდეა და მიზანი აქვთ. მიზანი არის არსებული ხელისუფლების დამარცხება და საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება.

თქვენ მართალს ბრძანებთ, ნაციონალური მოძრაობა ერთხელ გაიყო, მაგრამ მაშინ იმ ადამიანებს საკუთარ ლიდერად მიხეილ სააკაშვილი ვერ წარმოედგინათ. ისინი უკვე ველარ ხედავდნენ სააკაშვილს, როგორც პარტიის ლიდერს.

– დღეს სხვა რეალობაა?

– დიახ. ეს ადამიანები, ნიკა მელიაც, თაკო ჩარკვიანიც, სოსო თოფურიძეც საკუთარ თავს ლიდერად აღიქვამენ. ეს არის განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შეიძლება ნაციონალურ მოძრაობაში იყოს სამი-ოთხი ბანაკი, მაგრამ მათი ყველას ლიდერი მიხეილ სააკაშვილია, განსხვავებით წინა შემთხვევისგან. ვიღაცებს ტყუილად უხარიათ.

– ვისზე ამბობთ?

– „ქართული ოცნება“ ძალიან გახარებული ნუ იქნება ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ელექტორალური თვალსაზრისით არავითარი რყევები პარტიაში არ არის. არცერთი მხარდამჭერი პარტიას არ მოაკლდება. ამიტომ მათი სიხარული ძალიან უსუსურია. სადაც იქნება მიხეილ სააკაშვილი, იქ იქნება ელექტორატიც, იქ იქნებიან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებიც. რა მნიშვნელობა აქვს, პარტია არჩევნებზე 5 ნომრით გავა თუ 555-ით.

– თქვენ ამბობთ, რომ პარტიის რეიტინგს მიხეილ სააკაშვილი განსაზღვრავს?

– რა თქმა უნდა, ასეა. პარტია სააკაშვილის რეიტინგზე დგას და მე ამაში 2018 წელს დავრწმუნდი. 2018 წლის არჩევნებისთვის, როდესაც ნაციონალურ მოძრობას შევუერთდი და ახალი მოძრაობა დაფუძნდა, მთელი საქართველო შემოვიარე. ადამიანები მხარს უჭერენ მიხეილ სააკაშვილს. რატომ, რისთვის – ეს სხვა საკითხია.

მიუხედავად ყველაფრისა, აქვე უნდა ვთქვა, რომ მედალს მეორე მხარეც აქვს. არ არის მოსაწონი და მისაღები ის, რაც პარტიაში ხდება. ეს მაინც აზარალებს ზოგადად პროცესს. მიზანი უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთმანეთთან კინკლაობა და დაპირისპირება. ყველა ოპოზიციური პარტია და მათ შორის „ქართული ოცნებაც“ აცნობიერებს, რომ ხელისუფლების დამარცხება ნაციონალური მოძრაობის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, რადგან მიზანი უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, უნდა გააცნობიერონ, რომ ასეთი დაპირისპირება აზიანებს საერთო საქმეს და არა მხოლოდ პარტიას. უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს თითოეულმა ამომრჩევლისა და ქვეყნის წინაშე. მე ეს შემიძლია მხოლოდ ვთქვა გარედან, რადგან არ ვარ პარტიის წევრი.

– დღეს ვინ არის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი?

– მიხეილ სააკაშვილი იყო, არის და იქნება ლიდერი. როგორც კი გამოჯანმრთელდება, ის ამას დაადასტურებს.

– წარმოგიდგენიათ ქართული პოლიტიკიდან მისი წასვლა?

– ვერ წარმომიდგენია.

– როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობს, რომ არ აინტერესებს?

– დარწმუნებული ვარ – ემოციებიდან გამომდინარე. შეუძლებელია, ის ეგუებოდეს ამ რეალობას, პრორუსულ მთავრობას. მე ისიც არ მჯერა, რომ ამას ქართველი ხალხი ეგუება. 200-300 ათასი ადამიანი თუ გამოვა ქუჩაში, ბიძინა ივანიშვილი დამარცხებას აღიარებს. ამისთვის არც პარტიებია საჭირო და არც ლიდერები. ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და უნდა გამოვიდეს ქუჩაში. თუმცა მანამდე არის რამდენიმე მოთხოვნა, რომლებიც თავად ოპოზიციამ უნდა დააკმაყოფილოს. პირველი რიგის მოთხოვნა არ არის ქუჩაში გასვლა. პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს ოპოზიციის მიერ პარლამენტის დატოვება. მეორე – ბათუმის უმაღლესი საბჭოსა და საკრებულოების დატოვება. ამის შემდეგ დგება ქუჩაში გასვლის მოთხოვნა, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით და შემდეგ უკვე ვადამდელი, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა, რომელიც უნდა ჩატარდეს პროპორციული სისტემით, ელექტრონულად, ყოველგვარი ცესკოს გარეშე, სადაც მონაწილეობას ემიგრანტებიც მიიღებენ. ამ შემთხვევაში დამარცხდება „ქართული ოცნება“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება არა 2030 წლამდე, როგორც ხმები გავრცელდა, არამედ სამუდამოდ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ მთელი ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით ყველაზე რეკორდული, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს“

– რაც შეეხება ახალ ინიციატივას, რომელიც არის პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივა – ევროპული გაერთიანება. მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან საინტერესო დისკუსიები გვქონდა პრაღაში, 44 ქვეყნის ლიდერი შევიკრიბეთ, იქ შემდეგ 4 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და მქონდა პატივი მათ შორის ერთი სამუშაო ჯგუფისთვის მე მეხელმძღვანელა, – ამის შესახებ მთავრობის მეთაურმა თელავში, ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც ევროკავშირის მიერ ინიცირებულ ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის პირველ სამიტს შეეხებოდა, რომელშიც პრემიერმა პრაღაში მიიღო მონაწილეობა.

მისივე თქმით, მთავარი დღეს ევროპასა და მთელ მსოფლიოში არის უსაფრთხოების გამოწვევები.

– ძალიან საინტერესო დისკუსია მოვისმინეთ, ჩვენ ყველამ მივიღეთ მონაწილეობა. მთავარი გამოწვევა, რაც დღეს არის ევროპაში და მთელს მსოფლიოში, არის ბუნებრივია უსაფრთხოების გამოწვევები, ეს არის ომი უკრაინაში, რომელიც არ მთავრდება, რომელიც კიდევ უფრო საშიშ გამოხატულებებს ჰპოვებს და, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვართ დაინტერესებული იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს მშვიდობა. ჩვენი მთავარი საზრუნავია მშვიდობა და უსაფრთხოება, ჩვენი მოქალაქეების, თქვენი ყველასი, ამ ქვეყნის მკვიდრი ყველა მოქალაქის.

მეორე მთავარი თემა, რაც იყო, ეს არის ენერგოუსაფრთხოება. დღეს ევროპაში არის ძალიან მწვავე კრიზისი, ენერგოკრიზისი იმიტომ რომ, მოგეხსენებათ კარგად, რუსეთმა გაზი შეუწყვიტა, 7%-მდე შეამცირა უკვე გაზის მიწოდება ევროპისთვის და რეალურად ევროპის ქვეყნები ახლა მსჯელობენ იმაზე თუ, როგორ ჩაანაცვლონ რუსული გაზი, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნება ძალიან იოლი მოკლევადიან პერსპექტივაში – ამ თემებზე იყო საუბარი, ბუნებრივია, უკრაინის ომი არის დიდი გამოწვევა მთელი ევროპისთვის, ასეთი კრიზისი არ ყოფილა მთელ მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მანვე რეგიონში მშვიდობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

– საქართველო, როგორც ამ რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა, ვართ მონაწილენი ამ პროცესების, ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჩვენს რეგიონში უნდა იყოს მშვიდობა. აზერბაიჯანში, სომხეთში ბუნებრივია ჩვენს მეზობელ ქვეყნებში თურქეთში, ჩვენ ვართ დაინტერესებული, იყოს უფრო შეხმატკბილებული ურთიერთობა და ამის პირველი ნაბიჯები გამოიკვეთა იმიტომ, რომ პირველი შეხვედრა შედგა სომხეთის პრემიერი შეხვდა თურქეთის პრეზიდენტს და ასევე, აზერბაიჯანის პრეზიდენტს და საქართველო ასევე არის მედიაციის პროცესში ჩართული.

მთავარი, რაც მინდა გითხრათ, არის შემდეგი, რომ არავითარი გამოწვევა ქვეყანას არ გააჩნია, ჩვენ ძალიან მტკიცედ მივუყვებით ჩვენს გზას, ჩვენს არჩეულ პოლიტიკას, ეს არის მშვიდობიანი პოლიტიკა, ასევე ზამთარში არავითარი შეფერხება არ ექნება ჩვენს მოქალაქეებს არც ენერგომომარაგების კუთხით, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება დაუთმო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს. მისი თქმით, საქართველოს რეკორდული, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს.

– ასე რომ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მშვიდად, მტკიცედ ყოფნა ქვეყნის განვითარება, მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ბანკის შეფასებაც გამოქვეყნდა და ჩვენ მთელი ევროპის და ცენტრალური აზიის მასშტაბით ყველაზე რეკორდული, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ევროპის ქვეყნებში არის ძალიან მძიმე ვითარება ამ მიმართულებითაც. ამ ფონზე მე მინდა ყველას ვუთხრა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნებას ქვეყანაში, ქვეყნის შიგნით. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მშვიდად, ჩვენ გვაქვს, რა თქმა უნდა, ჩვენი გამოწვევები – ქვეყნის 20% არის ოკუპირებული და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ გვჭირდება გონიერება, ემოციების ნაკლებობა, მეტი მუშაობა, მეტი ეკონომიკური განვითარება, მეტი კეთილდღეობა და მეტი სიყვარული და პოზიტივი, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რატომ მცირდება კრიპტოვალუტების ღირებულება

მსოფლიოში დღეს არსებული რეალობა ციფრული ვალუტებისთვის სტაგნაციური აღმოჩნდა. მცირდება თითქმის ყველა წამყვანი კრიპტოვალუტის ღირებულება, მათ შორისაა ბიტკოინიც, რომლის ფასიც 20.000 დოლარს ჩამოსცდა.

როგორ კრიპტობაზრის დამფუძნებელი ავთანდილ კუჭავა „პალიტრანიუსის“ ეთერში აცხადებს, კრიპტოვალუტებზე ფასების შემცირების მიმართულებით ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებები მოქმედებს.

– მე მგონია, რომ დღესდღეობით კრიპტოვალუტებზე ფასების შემცირების მთავარი მიზეზი აშშ-ს ფედერალური სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა. ეს არ გულისხმობს მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, არამედ ფედერალური რეზერვები ღიად უპირისპირდებიან კრიპტოვალუტების ბაზარს. ეს ყველაფერი ამცირებს და ანელებს სამომავლო პროექტებს, ასევე სიგნალია ინვესტორებისთვისაც, რომლებიც ცდილობენ, რომ ინვესტირებისგან თავი შეიკავონ. მე ვფიქრობ, რომ მომდევნო 1,5 წლის განმავლობაში ჩვენ გაყინულ მდგომარეობაში ვიქნებით და მხოლოდ დაგროვების მიმართულებით ვიმუშავებთ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმალური საფასო პოზიციის დროს შესყიდვა-დაგროვებას განვახორციელებთ.

1,5 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინი გვაქვს, მათ შორის არჩევნებია აშშ-ში და იმედია, რომ რესპუბლიკელები აიღებენ ხელში სადავეებს, რომლებიც კრიპტოვალუტების ბაზრის მიმართ უარყოფითად განწყობილები არ არიან, – აღნიშნავს ავთანდილ კუჭავა.

ეკა ბესელია: „ბიძინა ივანიშვილის დიდმა ფულმა ცდუნებების მორევში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაითრია“

ბიძინა ივანიშვილის დიდმა ფულმა ძალიან ბევრი ადამიანი ჩაითრია ცდუნებების მორევში – ფული და კომფორტი, – ამის შესახებ პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა, სადაც „ქართული ოცნებიდან“ გასულ დეპუტატებზე ისაუბრა.

როგორც ბესელია აღნიშნავს, სოზარ სუბარის პრინციპულობა მისთვის იქ დამთავრდა, როდესაც იმ თემაზე დახუჭა თვალი, რომელიც ფუნდამენტური საკითხი იყო.

– ყველაზე დიდი კონფლიქტი მაშინ დაიწყო, როდესაც სასამართლო რეფორმის მეოთხე ეტაპი დავიწყე. ეს პროცესი რომ შეაჩერა ჩემმა ყოფილმა პარტიამ, მაშინ გამოჩნდა, ვინ რა ღირებულებას იცავდა. მაშინ მახსოვს სოზარის კომენტარი, მან გაამართლა წინა რეჟიმის მოსამართლეების უვადოდ არჩევა. მისი კომენტარები უკვე იყო შეგუება იმ სისტემასთან, რა სისტემაც ჩემმა ყოფილმა პარტიამ გადმოიბარა. სოზარის პრინციპულობა ჩემთვის იქ დამთავრდა, როდესაც იმ თემაზე დახუჭა თვალი, რომელიც ფუნდამენტური საკითხი იყო. ადამიანის გამოცდა ხდება კრიტიკული ეტაპის დროს. მისი უკან დახევა იყო მისთვის ალბათ, ტრაგიკული მომენტი.

ძალიან ცუდი რამ მოხდა, რაც სოზარ სუბარის შემთხვევასა და სხვასაც ეხება, ვისზეც შეიძლება გული დამწყვეტოდა, როგორც თანამებრძოლსა და კოლეგაზე. ივანიშვილის დიდმა ფულმა ძალიან ბევრი ადამიანი ჩაითრია ცდუნებების მორევში – ფული და კომფორტი, – აღნიშნავს ეკა ბესელია.

მან ოპოზიციურ სპექტრზეც ისაუბრა.

როგორც ეკა ბესელია განმარტავს, ცოტაა ისეთი, ვინც არ გაიყიდა და თავის პრინციპებს მიჰყვება. მისივე თქმით, მომავალი არჩევნებისთვის ნამდვილად იქნება ახალი ალტერნატივა.

– ჩვენ, ვინც ვერ გვიყიდა ვერც ბიძინა ივანიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა და ვერავინ (ასეთი, სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი არ დარჩა), არ გვაქვს ის ფინანსური რესურსი, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი შევქმნათ. ამას სჭირდება ძალების გაერთიანება. ცოტაა ისეთი, ვინც არ გაიყიდა და ამ პროცესში თავის პრინციპებს მიყვება, მათ შორის ოპოზიციიდან. მომავალი არჩევნებისთვის ნამდვილად იქნება ახალი ალტერნატივა, ვინ და როდის, ნუ მკითხავთ. ვიცი, რომ იქნება. ალტერნატივები იქნება საჭირო და გაჩნდება, – აღნიშნავს ბესელია.

საქართველოში ანტიდასავლური კამპანია ისევ აქტიურია

რუსეთში ანტიუკრაინული და ანტიდასავლური პოლიტიკის კრახი შეინიშნება

მარიამ მჭედლიშვილი

სოციოლოგი: „რუსეთში, საზოგადოებრივი აზრის ინერტულობის მიუხედავად, ადამიანები აცნობიერებენ, რომ საუბარია სამხედრო წარუმატებლობაზე“

პუტინის მიერ გამოცხადებულმა მობილიზაციამ რუსეთში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გაზარდა. მობილიზაციას გამოქცეული რუსეთის მოქალაქეების მასშტაბსა და ტვირთს საკუთარ თავზე საქართველოც გრძნობს. ზოგადად, 24 თებერვლის შემდეგ რუსეთის, განსაკუთრებით მისი ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოკვეთილია მთელ მსოფლიოში.

ეს ტენდენცია არ შეხებია საქართველოს. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ევროინტეგრაციის მსურველთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა. ანტიდასავლურ ქმედებებს განაგრძობს საქართველოს მმართველი პარტიის ფაქტობრივი განშტოება, რომელმაც „ხალხის ძალა“ დაირქვა, ასევე – „ქართული ოცნების“ გარემოცვა. „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები იქამდეც კი მივიდნენ, რომ გამოაცხადეს, ევროკავშირის წევრობა ნაწილობრივ სუვერენიტეტის დათმობას ნიშნავსო.

მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ „ლევადა ცენტრის“ მიერ რუსეთში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ პუტინის რეჟიმის, ასევე ომის მიმართ მხარდაჭერა მცირდება, ანტიდასავლური და ანტიუკრაინული პოლიტიკა კი კრახს განიცდის. თუ ასე გაგრძელდა, მალე პუტინს საქართველოში უფრო მეტი მიმდევარი ეყოლება, ვიდრე საკუთარ იმპერიაში.

„რადიო სვობოდას“ ყირიმის რედაქცია ესაუბრა „ლევადა ცენტრის“ სამეცნიერო ხელმძღვანელს, სოციოლოგ **ლევ გუდკოვს.**

– როგორ შეაფასებთ განწყობების შეცვლას რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ?

– თავად რეალობის აღქმის სტრუქტურა ნაკლებად არის შეცვლილი, ვინაიდან მოქმედებს ტოტალური ცენზურა. მთავარი ცვლილება ფსიქოლოგიურია. „ნაწილობრივი მობილიზაციის“ გამოცხადების შემდეგ განწყობები მკვეთრად გადასხვაფერდა. ერთია, როცა ომი მიმდინარეობს სადღაც, საზღვრებს მიღმა და მასებს არ ეხება. მეორეა, როცა მობილიზაციაში აბამენ ბევრ ადამიანს. ხალხმა არ დაიჯერა, რომ მობილიზაცია „ნაწილობრივია“. ბევრს სჯერა, რომ ეს არის საერთო მობილიზაცია. ეს განგაშს იწვევს. უკმაყოფილებას გამოთქვამენ, პირველ რიგში, ისინი, ვინც ადრე მხარს უჭერდა ამ „ოპერაციას“. გაწვევამ ადამიანები ამოაგდო ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან, შეამცირა მათი შემოსავლები. ამ გადაწყვეტილებაზე პასუხი იყო არა მარტო შიში, არამედ გასაწვევების გაქცევაც საზღვარგარეთ.

– მომავალში თუ იქნება ძლიერი ნახტომები საზოგადოებრივ განწყობებში?

– ვფიქრობ, რომ მთელი ამ სიტუაციის გააზრებას ხანგრძლივი დრო დასჭირდება. გასაწვევების ძირითადი მასა მორჩილად გამოცხადდება სამხედრო კომისარიატებში. ჯერჯერობით არ ჩნდება კონფლიქტი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. რუსები საკუთარ თავს აღიქვამენ „დერჟავის“ ერთგულებად. ამიტომ ღიად დაპირისპირება ხელისუფლებასთან მათთვის იდენტურობის შიდა კონფლიქტიცაა.

მიმდინარე მოვლენების, მისი შედეგების გაცნობიერება მოგვიანებით მოხდება. რუსეთში საზოგადოებრივი აზრი ძალიან ინერტული და კონსერვატიულია. ეს პროცესი განვითარდება. რაც უფრო ინტენსიური და წარმატებული იქნება უკრაინის ჯარების შეტევები, მით უფრო ძლიერი იქნება გაღიზიანება რუსეთის „ურაპატრიოტებს“ შორის, მით მეტად გახშირდება ქვეყნის ხელმძღვანელობის დადანაშაულება, ისტერიკები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

– ამ აღქმის ბრალია, რომ რუსეთის შეჭრამ უკრაინაში თებერვალში გამოიწვია სიამაყე რესპონდენტების ნახევარში? ახლა ასეთების რაოდენობა მეოთხედია.

– სწორედ ასეა. თუ აგვისტოში შეფარდება ომის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის იყო 48% 44%-თან, ამჟამად პირიქითაა – მოლაპარაკებები და ომის დამთავრება სურს 48%-ს.

– შესაძლებელია კი ამ ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ქვეყნის არმია არ არის ძლიერი? ყოველ მარცხს ხომ ტაქტიკურ უკანდახევადა და ჯარების გადაჯგუფებად ხსნიან.

– ომის მთელი მსვლელობის დროს სამხედრო მოქმედებების წარუმატებლობისას თავს იმართლებდნენ ჰუმანიტარული მოსაზრებებით, მშვიდობიან მოსახლეობაზე ზრუნვითა და სხვა თვალთმაქცური იდეოლოგიით. სავსებით რეალურია, რომ უკრაინის ჯარების მომავალი გადაადგილებისას იგივე არგუმენტები გამოიყენონ.

საზოგადოებრივი აზრის ინერტულობის მიუხედავად, ადამიანებმა, შეუძლებელია, არ გაიაზრონ, რომ საუბარია სამხედრო წარუმატებლობაზე. მოახლოებული დამარცხება, ასევე ანტიდასავლური და ანტიუკრაინული პოლიტიკის კრახი ვერ დაიმალება. ხალხი ამას ნათლად ხედავს. ეს ნიშნავს პუტინის ავტორიტეტის ჩამოშლას. რუსეთის ისტორიაში სამხედრო მარცხი ყოველთვის იწვევდა მწვავე პოლიტიკურ კრიზისს ან რევოლუციას.

– ესე იგი პუტინის ავტორიტეტის ნგრევის ფაქტორი გახდება არა დრო, არა ომის გაჭიანურება, არამედ მარცხი?

– მარცხი და გააზრების დრო. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მომდევნო წლის დასაწყისისათვის სანქციების ნეგატიური შედეგები გამოიკვეთება.

ეკონომიკა

ვის ეკუთვნის 10 კომპანია, რომლებსაც 2021 წელს ყველაზე დიდი ბრუნვა ჰქონდათ

2021 წელს საქართველოში ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31.5 პროცენტით გაიზარდა და 150.4 მილიარდი ლარი შეადგინა. ბრუნვის მიხედვით კი 10 ყველაზე დიდ კომპანიას შორის 6 აზარტული თამაშებისაა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ, თუ ვის ეკუთვნის ყველაზე მსხვილი ბრუნვის მქონე 10 კომპანია:

შპს სოკარ ჯორჯია გაზი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სოკარ ენერჯი ჯორჯიას საკუთრებაა, რომლის წილის 75.5% აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის მფლობელობაშია. 16.3% არაბთა გაერთიანებულ საამიროში რეგისტრირებულ EVENTUS GENERAL TRADING FZE-ს, 8.1%-ი კი, Intersun Holding FZCO-ს.

შპს კავკასიის ავტოიმპორტი – წილის 34.8% აშშ-ისა და საქართველოს ორმაგ მოქალაქეს გიორგი სურგულაძეს ეკუთვნის, 27.9% – ლევან სურგულაძეს, თუმცა წილის მმართველი ამ შემთხვევაშიც გიორგი სურგულაძეა. 27.2%-ს ფლობს გიორგი გულაშვილი, 10%-ს კი – დავით გულაშვილი.

შპს ჯორჯიან მანგანეზი – წილის 100%-ს ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი ფლობს.

შპს ბეთლაივი – წილის 40%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აიტი ვენჩარი ფლობს. წილის 38%-ს – სულიკო ვარსემაშვილი, 19%-ს – დავით ველიჯანაშვილი, 3%-ს კი – თამაზ ხარაიძე.

შპს ჩემპიონები 111 – წილის 100%-ს შვედეთში რეგისტრირებული Betsson Perch Investments AB-ს ფლობს.

შპს ავიატორ – წილის 100%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ატლას ჰოლდიგი ფლობს. რომლის სამეთვალყურეო საბჭოც შემდეგნაირადაა დაკომპლექტებული: თავმჯდომარე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ჯერემი პიტერ ჯექსონია, თავმჯდომარის მოადგილე – თეიმურაზ უგულავა, წევრები – ასევე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები დანიელ მარკ ტეილორი და რობერტ ქოლდრეიკი, ასევე – ივანე თარხნიშვილი, დირექტორი კი – აზერ მამმადოვი.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი – 40% წილის მესაკუთრე ქართლოს დიასამიძეა, 30-30%-ს კი ბესიკ ხოკერაშვილი და აკაკი შუბითიძე ფლობენ.

შპს ფულ ჰაუსი – წილის ყველაზე დიდ ნაწილს 35%-ს თემურ მიქელაძე ფლობს. 16.6%-ს – ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერ-ი, რომელიც ავსტრიაშია რეგისტრირებული. 16.6%-ს ფლობს ისრაელის მოქალაქე გიგი ლევაი-ვეისი. ასევე 16.6%-ს ფლობს ავსტრიელი მანფრედ ბოდნერი. 5% ეკუთვნის ავსტრიის მოქალაქე კლაუს გემალ რასმუსსენს. 2.5-2.5%-იან წილებს ფლობს 4 ადამიანი: გიორგი ბარნაბიშვილი, ბაკურ ხარჩილავა, ზურაბ ერქომაიშვილი, გურამ დოლიძე.

შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი – აქაც წილის 100%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სოკარ ენერჯი ჯორჯია ფლობს, რომლის წილის 75.5% აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის მფლობელობაშია. 16.3% არაბთა გაერთიანებულ საამიროშია რეგისტრირებული EVENTUSGENERAL TRADING FZE-ს, 8.1%-ი კი – Intersun Holding FZCO-ს.

შპს მარსი – წილის 100% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ენთეინ ჯორჯიას ეკუთვნის, მმართველი ორგანო კი პარტნიორთა კრებაა. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გერმანიის მოქალაქე სტეფან იულიუს ჰეილმანია, წევრები – კობა გიგლემიანი და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები ობდულიო ბაკარეზე და რობერტ გრანტ ჰოსკინი.

სათამაშო ბიზნესი ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით ბრუნვის 0,2%-ს იხდის

აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებული საწარმოთა ბრუნვა რეკორდულად იზრდება. მათ მიერ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით გადახდილი თანხა კი ბრუნვის მაჩვენებელზე 600-ჯერ ნაკლებია, პროცენტულად კი სექტორი ბიუჯეტში ბრუნვის მხოლოდ 0,2%-ს იხდის.

უფრო კონკრეტულად, ოფიციალური მონაცემებით, 2021 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 47.938 მლრდ ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 15.847 მლრდ ლარით (ბრუნვა – 32,091 მლრდ ლარი), 2019 წელთან შედარებით კი 22.078 მლრდ ლარით (ბრუნვა – 25,860 მლრდ ლარი) მეტია. მთლიანად კი გასულ წელს სათამაშო ბიზნესის წილი ბიზნესსექტორის მთლიან ბრუნვაში 32%-მდე გაიზარდა. ცნობისათვის, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 28% იყო, 2019 წელს კი 23,7%. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს ბრუნვის მიხედვით 10 ყველაზე დიდ კომპანიას შორის 6 სწორედ აზარტული თამაშებისაა.

როგორც ამ რიცხვებიდან ჩანს, საქართველოში აზარტული თამაშები კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მისი ბრუნვა ყოველწლიურად რეკორდულად მატულობს.

რაც შეეხება სექტორის მიერ ბიუჯეტში გადახდილ თანხას, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე) მიხედვით, 2021 წელს აზარტული თამაშებიდან ბიუჯეტში, ჯამში 78,406 მლნ ლარი შევიდა, აქედან სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებზე (ონლაინკაზინოები) 12,133 მლნ ლარი მოდის.

ამავე მონაცემების მიხედვით, 2020 წელს სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 19.261.560 ლარი შევიდა (შეგახსენებთ, ობიექტები დახურული იყო), აქედან 12,461 მლნ ლარი – ონლაინთამაშებიდან.

რაც შეეხება პანდემიამდელ, 2019 წელს, სათამაშო ბიზნესმა ბიუჯეტში 128,401 მლნ ლარი გადაიხადა, აქედან 12,411 მლნ ლარი ონლაინთამაშებზე მოდიოდა.

ვინ ასაქმებს ყველაზე მეტ ადამიანს საქართველოში

2021 წელს ბიზნესსექტორში 744.256 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული.

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნესსექტორში ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად, 28.6%, 12.5% და 10.3%), თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (8.6%), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.4%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდებისა (4.5%) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (4.1%).

„ბიზნესპრესნიუსი“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე გთავაზობთ იმ 10 კომპანიის ჩამონათვალს, რომელმაც გასულ წელს ყველაზე მეტი ადამიანი დაასაქმა.

შპს თბილსერვის ჯგუფი – არასახიფათო ნარჩენების შეგროვება;

შპს პსპ ფარმა – საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში;

სს ევექსის ჰოსპიტლები – საავადმყოფოების საქმიანობები;

სს ენერგო-პრო ჯორჯია – ელექტროენერგიის გადაცემა;

სს საქართველოს რკინიგზა – რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი;

სს ნიკორა ტრეიდი – საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით;

სს გეფა – საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში;

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია – საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი;

შპს ევოლუშენ ჯორჯია – სხვა ტელეკომუნიკაციო საქმიანობები;

შპს რითეილ ჯგუფი – საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით;

ინფორმაციისთვის, სია არ არის დალაგებული რეიტინგის მიხედვით.

თელავში ახალგაზრდა ქალი მოკლეს

კახეთში, თელავში, მკვლელობა მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მოკლულია 30 წლამდე, ახალგაზრდა ქალი. მათივე ინფორმაციით, მკვლელობა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით მოხდა.

ადგილზე მობილიზებულია პოლიცია, ტერიტორია ყვითელი ლენტით არის შემოსაზღვრული.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობის საქმეზე დაკავებულია ერთი პირი.

სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ქალი მოკლულია.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებულია და მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მომხდართან დაკავშირებით დამატებითი დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო. დაკავებულია 4 პირი

სამართალდამცავებმა თბილისში, შიდა ქართლსა და სამეგრელოში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს და 4 პირი დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, სამართალდამცავებმა ერთ-ერთი დაკავებულის, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და საბრძოლო ვაზნები ამოიღეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, შიდა ქართლსა და სამეგრელოში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს და 4 პირი დააკავეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ი. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და საბრძოლო ვაზნები.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1992 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი თ.კ. გორში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და საბრძოლო ვაზნები ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1969 წელს დაბადებული გ.ა., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 2 ცეცხლსასროლი იარაღი და 23 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება 1974 წელს დაბადებულ მ.ნ.-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ფოთში დააკავეს.

მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

საბერძნეთში 39 წლის ქართველ მამაკაცს 19-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

საბერძნეთში 19 წლით პატიმრობა მიუსაჯეს 39 წლის ქართველ მამაკაცს, რომელმაც პარტნიორი ქალის მოკვლა ცადა და 8 წლის ბავშვის თვალწინ მას ყელში დანა ჩაარტყა.

შემთხვევა 2021 წლის დეკემბრის ბოლოს მოხდა. ბერძნული მედია დანაშაულის დეტალებზე წერს. სტატიაში აღნიშნულია, რომ მამაკაცმა ადრე ქალის გაუპატიურებაც ცადა.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, პოლიციაში შეტყობინება 18 დეკემბერს, დილით შევიდა. აბაზანაში ჩაკეტილი ქალი იტყობინებოდა, რომ ის სასიკვდილო საფრთხის წინაშე იყო და დახმარებას ითხოვდა. ქალმა პოლიციისთვის მხოლოდ ქუჩის დასახელება მოასწრო, რადგან თავდამსხმელმა კარი შეამტვრია და მას ტელეფონი წაართვა.

პოლიციის ეკიპაჟები ქალის მიერ დასახელებულ ქუჩაზე წავიდნენ, სახლის დადგენა კი იქიდან გამომავალი ხმაურით შეძლეს. სახლიდან ქალის ყვირილი და ბავშვის ტირილი ისმოდა. მოძალადემ კარის გაღებაზე პოლიციას უარი უთხრა, რის შემდეგაც სამართალდამცავები იძულებული გახდნენ, კარი შეემტვრიათ. მოძალადე სახლში შესულ პოლიციასაც დაემუქრა და შეეცადა, უკვე დაჭრილი ქალისთვის დანა კიდევ ერთხელ დაერტყა. პოლიციის მოწოდებაზე, იარაღი დაეგდო, მამაკაცმა დაზიანებები საკუთარ თავსაც მიაყენა.

პოლიციამ საბოლოოდ მამაკაცის დაკავება შეძლო. განიარაღებისას ერთ პოლიციელს ქურთუკი გაეხა, მეორე პოლიციელი კი დაზიანებას ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა.

ქალისთვის მიყენებული ჭრილობები მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ აღმოჩნდა. ის სასწრაფო დახმარების მანქანით სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მამაკაცის დანაშაულში შემამსუბუქებელი გარემოებები არ არსებობდა და მას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა.

შსს-მ თბილისში ქალის მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პ.პ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, შურისძიების მოტივით, 1970 წელს დაბადებულ ო.პ.-ს, მისსავე ნაქირავებ ბინაში, ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული თბილისში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

იგოეთთან ავარიისას ოთხი ბავშვი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევისას, რომელიც თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალზე მოხდა, 6 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 4 ბავშვია.

შემთხვევა იგოეთის სიახლოვეს მოხდა. „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ავტობანის ბეტონის ჯებირს შეეჯახა.

დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს. მათ სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები აღენიშნებათ.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია და მეხანძრე-მაშველები იმყოფებიან. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

„ჩხუბი დაიწყო კლასში გაკვეთილზე. შემდეგ გადაიყვანეს ბავშვი სკვერში... დახვდა 25 ბიჭი და გალახეს“

ბათუმში მე-12 კლასელებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი მოსწავლე დაშავდა. ის კლინიკაშია გადაყვანილი.

დაშავებულის დედა აცხადებს, რომ მის შვილს 25 ადამიანი გაუსწორდა ფიზიკურად და ინგლისურის მასწავლებელს უყურადღებობასა და დაუდევრობაში ადანაშაულებს.

– ჩხუბი დაიწყო კლასში გაკვეთილზე. შემდეგ გადაიყვანეს ბავშვი სკვერში და იქ გაგრძელდა. იქ დახვდა ჩემს შვილს 25 ბიჭი და გალახეს. 10 წამი ბავშვი გათიშული იყო, გონება ჰქონდა დაკარგული. ჩემს შვილს აქვს მძიმე დაზიანებები. კონფლიქტი დაიწყო სატენის გამო. ამ ყველაფერს ინგლისურის მასწავლებელი ესწრებოდა. თინიკო კვაჭაძემ ბავშვს ტელეფონი გამოართვა, ალბათ იმიტომ, რომ ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულიყო. ის არ არის დაკავებული, – ამბობს მე-12 კლასელის მშობელი.

თერჯოლის მერი, ლაშა გოგიაშვილი, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა

შემთხვევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფარეთის ტერიტორიაზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, მერის მოტოციკლი ტრაილერს შეეჯახა.

ლაშა გოგიაშვილი კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო

ვლადიმერ პუტინმა ქერჩის სრუტეზე სატრანსპორტო გადასასვლელის დაცვაზე უფლებამოსილება „ეფესბეს“ დააკისრა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქერჩის სრუტეზე სატრანსპორტო გადასასვლელის დაცვაზე უფლებამოსილება ფედერალურ უსაფრთხოების სამსახურს დააკისრა. ინფორმაციას ამის შესახებ კრემლის პრესსამსახური ავრცელებს.

კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას „ქერჩის სრუტეზე გადასასვლელის, რუსეთის ფედერაციასა და ყირიმის ნახევარკუნძულს შორის ელექტროქსელისა და კრასნოდარის ოლქი-ყირიმის გაზსადენის დაცვის ზომების გაძლიერების შესახებ მათი ექსპლუატაციის დროს“.

დაცვის გაძლიერების ვალდებულებები კი რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის ფედერალურ უსაფრთხოების სამსახურს, ე.წ. ეფესბეს დააკისრა.

ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე მიხაილო პოდოლიაკის განაცხადებით, ქერჩის ხიდის აფეთქება რუსეთის ძალოვან სტრუქტურებს შორის კონფლიქტის გამოვლინებაა.

– ქერჩის ხიდთან დაკავშირებით ეს კონკრეტული გამოვლინებაა კონფლიქტისა, რომლის ერთ მხარეს ფედერალური უსაფრთხოების სამსახური და კერძო სამხედრო კომპანიაა, მეორე მხარეს კი – თავდაცვის სამინისტრო და რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბი, – განაცხადა პოდოლიაკმა.

უკრაინის საგარეო უწყება უარყოფს ბელარუსის რეჟიმის განცხადებას, თითქოს მათ ტერიტორიაზე თავდასხმას გეგმავს

ბელარუსის რეჟიმის კიდევ ერთ ინსინუაციას, რომ უკრაინა თითქოს ბელარუსის ტერიტორიაზე თავდასხმას გეგმავს, ოფიციალური კიევი უარყოფს.

ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ოლეგ ნიკოლენკომ განაცხადა.

– 8 ოქტომბერს, საღამოს, მინსკში უკრაინის ელჩი იგორ კიზიმი ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს, სადაც დიპლომატიური ნოტა გადასცეს. ნოტაში ბელარუსის მხარე აცხადებს, რომ უკრაინა თითქოს თავდასხმას გეგმავს ბელარუსის ტერიტორიაზე, – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა.

ნიკოლენკოს თქმით, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და მან ოფიციალური კიევის სახელით კატეგორიულად უარყო ბელარუსის რეჟიმის მორიგი ინსინუაცია.

– არ გამოვრიცხავთ, რომ დიპლომატიური ნოტის გადაცემა რუსეთის ფედერაციის გეგმის ნაწილი იყოს პროვოკაციის მოწყობასა და შემდეგ უკრაინის დადანაშაულებაზე, – წერს ნიკოლენკო.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბელარუს ხალხს მოუწოდა, არ აჰყვნენ პროვოკაციებს.

– უკრაინა არასოდეს შეჭრილა უცხო ტერიტორიებზე. ჩვენ მკაცრად ვიცავთ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს და გაეროს ქარტიას, – დასძინა ნიკოლენკომ.

მისივე თქმით, ბელარუსის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს კრემლის სურვილების შესრულება და რუსეთის მხარდაჭერა უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებაში.

ზელენსკი დარწმუნებულია, რომ უკრაინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე სისტემებს აუცილებლად მიიღებს

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი დარწმუნებულია, რომ უკრაინა აუცილებლად მიიღებს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე და ეფექტიან სისტემებს. ამის შესახებ მან ვიდეომიმართვაში განაცხადა.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა უკრაინელ მეზენიტეებსა და ყველას, ვინც უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაშია ჩართული.

– ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა დავიცვათ უკრაინის ცა და ეს ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია – დავაჩქაროთ ჩვენი პარტნიორების გადაწყვეტილება, მიაწოდონ უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე და ეფექტიანი სისტემები. ჩვენ აუცილებლად მივალთ აქამდე, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

თურქეთი უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით მოლაპარაკებების შუამავლობას ცდილობს

უკრაინული გამოცემა Kyiv Independent-ი თურქულ პროსამთავრობო გაზეთ Milliyet-ზე დაყრდნობით წერს, რომ თურქეთი უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით მოლაპარაკებების შუამავლობას ცდილობს.

გამოცემა Milliyet-ი იუწყება, რომ თურქულმა მხარემ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკებებში ჩართვა მოითხოვა, რომელშიც ასევე რუსეთიც შედის.

მედიის ცნობით, გაურკვეველია, ჩაერთვება თუ არა მოლაპარაკებებში უკრაინაც.

ესტონეთის პრემიერი: „პუტინმა თვალი დაადგა მოლდოვას, მიზანში ამოიღო საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნები“

– უკრაინის შემდეგ მან (პუტინმა) მოლდოვას დაადგა თვალი. მან (პუტინმა) მიზანში ამოიღო საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნები. ის ძალიან ღიად აცხადებს ამის შესახებ. აღნიშნულის შეჩერების ერთადერთი გზა ამ ომის მოგებაში უკრაინის დახმარებაა, – ამის შესახებ ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა კაია კალასმა ბრიტანულ „ტელეგრაფთან“ ინტერვიუში განაცხადა.

ესტონეთის პირველი პირი ამტკიცებს, რომ მისი ქვეყანა პუტინის თავდასხმის ობიექტი იქნება მაშინაც კი, თუ ის უკრაინასთან დაკავშირებით „ჩუმად“ იქნება.

კალასის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი „ომიანობის ლიდერია“.

ცნობისთვის, კალასი პირველი ლიდერი იყო, რომელმაც უკრაინას რუსეთისა და ყირიმის ანექსირებული რეგიონის დამაკავშირებელი ხიდის დანგრევა მიულოცა.

ოლენა ზელენსკა: „ეჭვგარეშეა, რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა“

– მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობით რუსეთი თავის სისუსტეს აჩვენებს. ეჭვგარეშეა, რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა, – ასე გამოეხმაურა უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკა ქალაქ ზაპოროჟიეზე განხორციელებულ რუსულ საჰაერო თავდასხმას.

– რუსული დაბომბვის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი კორპუსი, დაზიანდა ასევე კერძო სახლებიც. დაიღუპა, სულ მცირე, 12 ადამიანი, დაშავდა 50, მათ შორის ბავშვები, – წერს უკრაინის პირველი ლედი „ტვიტერზე“.

ზაპოროჟიეზე რუსული სარაკეტო თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 17 ადამიანი დაიღუპა

ქალაქ ზაპოროჟიეზე განხორციელებული რუსული სარაკეტო თავდასხმის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას ზაპოროჟიეს საკრებულოს მდივანი ანატოლი კურტიევი „ტელეგრამზე“ ავრცელებს. როგორც უკრაინული მედია წერს, ზაპოროჟიეზე ღამით განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად ქალაქის საცხოვრებელ უბანში რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი და ქუჩა დაზიანდა. განადგურებულია ხუთი კერძო სახლი, 40-მდე კი დაზიანებულია. კურტიევის თქმით, მუნიციპალური მუშაკები თავდასხმის ადგილზე ნამსხვრევებისა და ნანგრევების გასასუფთავებლად მუშაობას იწყებდნენ, მაგრამ პერსონალის დეფიციტის გამო ყველა დაინტერესებულ ზაპოროჟიელს შეუძლია, ნანგრევების გაწმენდის პროცესს შეუერთდეს. შეგახსენებთ, რუსეთმა ზაპოროჟიეზე შეტევა 8-9 ოქტომბრის ღამეს დაიწყო და ქალაქის მიმართულებით ათამდე რაკეტა გაუშვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

„ჩვეულებრივი“ ბებიის ვაზა 7 მილიონ ევროდ გაიყიდა

„ჩვეულებრივი“ ბებიის ჩინური ვაზა აუქციონზე 7,7 მილიონ ევროდ გაიყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ტიანციუპინის სტილის ფაიფურის ნაწარმი აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა ქალმა, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთ საზღვაო ტერიტორიაზე ცხოვრობს. ვაზა მას მემკვიდრეობით დედისგან ერგო და ის თავდაპირველად მის ბებიას, პარიზელ კოლექციონერს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ ქალს 54 სანტიმეტრი სიმაღლის ნივთი არ ჰქონდა ნანახი, თუმცა მის ბრეტანის რეგიონიდან, დედის სახლიდან პარიზში ჩამოტანას გაუკეთა ორგანიზება, შემდეგ ოსენატის აუქციონზე გასაყიდად გასატანად. ექსპერტების თქმით, აღნიშნული ვაზა მე-20 საუკუნეში შეიქმნა და ის 2000 ევროდ შეაფასეს. თუმცა 30 პოტენციური ჩინელი მყიდველი, რომლებიც ვაჭრობაში მონაწილეობდნენ, დარწმუნებული იყო, რომ ის მე-18 საუკუნის უიშვიათეს არტეფაქტს წარმოადგენდა. ვაზა თეთრი და ლურჯი ფაიფურისგანაა დამზადებული, დაფარულია ემალით და დამშვენებულია ღრუბლების და დრაკონების გამოსახულებებით. საბოლოოდ ვაზა ჩინეთის მოქალაქემ შეიძინა, რომელიც მიიჩნევს, რომ ის გამოფენას უნდა ამშვენებდეს. – ჩინელებს ძალიან უყვართ საკუთარი ისტორია და ეამაყებათ, – განაცხადა აუქციონის სახლის დირექტორმა.

78 წლის პენსიონერმა 60 წლით უმცროს გოგონაზე იქორწინა

ფილიპინებზე ყოფილმა ფერმერმა იქორწინა თავისზე 60 წლით უმცროს გოგონაზე, რომელთანაც „დიდი სიყვარული“ აკავშირებდა. 78 წლის რაშედ მანგაკოპმა ხალიმა აბდულა სამი წლის წინ წვეულებაზე გაიცნო, როდესაც გოგონა 15 წლის იყო. პენსიონერის ნათესავები ამტკიცებენ, რომ მას მაშინვე შეუყვარდა გოგონა და მათი ურთიერთობაც მაშინვე დაიწყო. სამი წლის შემდეგ კი წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. მანგაკოპის ნათესავის ბენის თქმით, როგორც სასიძოს, ისე საპატარძლოს ოჯახებმა თანხმობა განაცხადეს მათ დაქორწინებაზე. მან ასევე დაამატა, რომ აბდულა ბიძამისის პირველი მეუღლეა და, რომ მათ დაქორწინებაში სხვა რაიმე დაინტერესება, გარდა დიდი სიყვარულისა, არ არსებობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებსა და ხერხემალში მარილების დაგროვება, რევმატიული სახსრების ანთება, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას ნადგურდება სოკო. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში წელზე, მუხლებზე, სახსრებზე. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები, შეშუპება. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლის კანის გარქოვანება, ქუსლებზე ნახეთქები, ბუასილის კვანძების, ნაწოლების, ინსულტის შემდგომი სისუსტე. **გამოყენების წესი:** მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში. მცირდება ტკივილები, შეშუპება მუხლის ტროპიკული წყლულის არსებობის, ვარიკოზული ვენების გაფართოების დროს. პრეპარატის გავლენით წყლულები იწმინდება და ჩქარდება მათი შეხორცება. თანდათან ქრება თრომბები.

სპრეი მენტორი 7

გამოიყენება მავნე რესპირატორული ვირუსების, გრიპის დასამარცხებლად, გაცივებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად, ნახველის გასათხელებლად.

სპრეის გამოყენების შედეგად ნადგურდება მავნე ბაქტერიები, უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება/წყდება გამონადენი ცხვირიდან, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

შექმნილია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

მიღების წესი: კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან და შევისხუროთ სპრეი ორივე ნესტოში, ასევე ყელში.

☎ 599-73-48-21.

ტატო გრიგალაშვილი მსოფლიო ჩემპიონია

ტაშკენტში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა ძიუდოისტმა ტატო გრიგალაშვილმა ნავსი გატეხა და ჩვენს დელეგაციას პირველი მედალი მოუტანა. თუმცა, მედალიც არის და მედალიც – გრიგალაშვილი მსოფლიო ჩემპიონია.

81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ჩვენებური ოქროსკენ მიმავალ გზას ფრანგი ალფა ომარ დიალოს ძლევით შეუყვა, რომელსაც დომინიკელი დომიკსონ დელ ორბე კორტორეალი, იაპონელი ტაკანორი ნაგასე და აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე საიდ მოლაე მიაყოლა და ფინალში გავიდა.

საჩემპიონო და დაძაბულ ბრძოლაში გრიგალაშვილმა მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს, ბელგიელ კასეს მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა.

ხვალ საჭიდაოდ 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ლაშა ბექაური და ლუკა მაისურაძე გავლენ.

საქართველოს მეტოქე თემურ ქეცბაიასა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა, სადაც გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი კვიპროსი იქნება.

მათ გარდა, ა ჯგუფში ჩვენთვის ძველი და კარგი ნაცნობები – ესპანეთი, შოტლანდია და ნორვეგია ითამაშებენ.

წილისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ მომავალი ევროპირველობის მასპინძელ გერმანიას და რუსეთს, რომელსაც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოდან უკრაინაში წარმოებული ომისთვის ბანი ადევს.

სხვა ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:

ბ ჯგუფი: ნიდერლანდები, საფრანგეთი, ირლანდია, საბერძნეთი, გიბრალტარი;

ც ჯგუფი: იტალია, ინგლისი, უკრაინა, ჩრ.მაკედონია, მალტა;

დ ჯგუფი: ხორვატია, უელსი, სომხეთი, თურქეთი, ლატვია;

ე ჯგუფი: პოლონეთი, ჩეხეთი, ალბანეთი, ფარერები, მოლდოვა;

ფ ჯგუფი: ბელგია, ავსტრია, შვედეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი;

გ ჯგუფი: უნგრეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, ბულგარეთი, ლიეტუვა;

ჰ ჯგუფი: დანია, ფინეთი, სლოვენია, ყაზახეთი, ჩრ.ირლანდია, სან მარინო;

ი ჯგუფი: შვეიცარია, ისრაელი, რუმინეთი, კოსოვო, ბელარუსი; ანდორა;

ჯ ჯგუფი: პორტუგალია, ბოსნია, ისლანდია, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი.

ევრო 2024-ის ფინალურ ეტაპზე 10-ვე ჯგუფის პირველი და მეორეადგილოსნები გავლენ და 20 ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. კიდევ ერთი მასპინძელი გერმანიაა, ხოლო დანარჩენი სამი საგზური ერთა ლიგის ფლეი ოფში გათამაშდება, რომელიც 2024 წლის მარტში გაიმართება და საქართველოს ნაკრებს იმ ტურნირიდანაც აქვს შანსი, გავიდეს ევროპის ჩემპიონატზე.

ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ათივე ტური 2023 წელს ჩატარდება, მარტიდან ნოემბრამდე.

ფუტსალის ნაკრებმა მსოფლიო შესარჩევი მოგებით დაიწყო

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ-რაუნდის პირველ მატჩში ბელგიას უმასპინძლა და 4:2 დაამარცხა.

ავთანდილ ასათიანის გუნდი ფავორიტად ითვლებოდა და ეს სტატუსი გაამართლა. თუმცა, გამარჯვება იოლად არ მოსულა. პირველ ტაიმში ბელგიელებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, ანგარიში გაეხსნათ, მაგრამ ეს საქართველოს ნაკრებმა მოახერხა და ტაიმის დასრულებამდე 4 წამით ადრე, როდესაც ვილიანის დარტყმის შემდეგ ბურთი ბინიოს მოხვდა და კარში შევარდა. მთლიანობაში, საქართველო ამ გოლს იმსახურებდა, რადგან მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა.

შესვენების შემდეგ ჩვენებმა შეუტიეს, ერთ მომენტში ბელგიელთა მეკარე ბოლო იმედის ჯარიმის წესის დარღვევისთვის გააძევეს და ორი წუთი მეტობაში დავრჩით. ეს გუნდმა კარგად გამოიყენა და ფერნანდო დრასლერმა საქართველო წინ გაიყვანა. მალევე ბელგიელებს დაცვაში შეცდომა რონინომ არ აპატია და – 3:1.

თითქოს მოგება განაღდებული იყო, მაგრამ ელ ფაკირმა სამი წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა შეამცირა და ბელგია თამაშში დარჩა. მეტოქე ვაბანკზეც წავიდა – მეკარე მოედნის მოთამაშით ჩაანაცვლა, რათა შეტევაში მეტობა მიეღო, მაგრამ კარი მოაშიშვლა და თალესმა არ აპატია – 4:2.

მეინ-რაუნდის მეორე ტურის შეხვედრას საქართველოს ნაკრები ავსტრიასთან 12 ოქტომბერს გამართავს. ავსტრიელებმა პირველი მატჩი ბელგიასთან 0:11 წააგეს. ასე რომ, აქ ფავორიტად ქართველები მიიჩნევიან და ჯგუფში ჩვენი კონკურენტი უფრო ბელგიაა.

12 ჯგუფის გამარჯვებული ელიტ-რაუნდის საგზურს მოიპოვებს. ასეთი ბედი ერგება ოთხ საუკეთესო მეორეადგილოსანს. დარჩენილი 8 მეორეადგილოსანი კი ელიტ-რაუნდის საგზურისთვის ბრძოლას ფლეი ოფში გააგრძელებს.

2024 წლის ფუტსალის მსოფლიო ჩემპიონატზე სულ 7 ევროპული ნაკრები ითამაშებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

10 წლის გოგონამ უზარმაზარი ალიგატორისებური ქარიყლაპია დაიჭირა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის მკვიდრმა ემილი მაიერსმა 2,5 მეტრი სიგრძის ალიგატორისებური ქარიყლაპია დაიჭირა.

10 წლის გოგონა სათევზაოდ მამასთან ერთად იმყოფებოდა. მამის თქმით, ის თავის შვილს თევზის დაჭერაში პრაქტიკულად არ დახმარებია, ვინაიდან მას პატარაობიდან ასწავლის თევზის ჭერას.

– მან შესანიშნავად იცის, თუ რომელი ძუა უნდა გამოიყენოს და სად არის შესაძლებელი თევზის დაჭერა. მან თევზაობის ყველა ნიუანსი კარგად იცის, – განაცხადა ბავშვის მამამ.

როდესაც მამაკაცმა იგრძნო, რომ ანკესზე თევზი იყო წამოგებული, ის თავის გოგონას გადასცა. მისი მტკიცებით, ემილის 12 წუთი დასჭირდა უზარმაზარი თევზის წყლიდან ამოსაყვანად, რომელიც მისისიპური ჯავშნოსნის სახელითაც არის ცნობილი.

10 წლის გოგონას ნადავლმა შტატის ძველი რეკორდი დაამხო. 2007 წელს დაჭერილი ალიგატორისებური ქარიყლაპია 20 სანტიმეტრით მოკლე იყო.

მამა-შვილმა დაჭერილი თევზი წყალში დააბრუნა. ემილის თქმით, ის ახლა უკვე 45– კილოგრამიანი ცისფერი ლოქოსა და 36– კილოგრამიანი ბრტყელთავა ლოქოს დაჭერას შეეცდება.

სპილომ გასრისა ქალი, რომელიც ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა

ინდოეთის ჩსატისგარხის შტატის სოფელ დხანაპალიში სპილომ გასრისა ხანდაზმული ქალი, სახელად კარმი მახტო.

გარეული ცხოველი ქალს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის დილით ადრე გარეთ იყო გასული ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

– ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ჯერ ისევ ბინდბუნდი იყო. დაღუპულ ქალბატონს, შესაძლოა, ამის გამო იქვე შორიახლოს მყოფი სპილოები ვერ შეენიშნა, – განმარტა ტყისმცველმა ნიტიშ კუმარმა.

ცხოველი, რომელმაც ქალი მოკლა, ერთ-ერთი იყო იმ ხუთი სპილოდან, რომლებიც სოფელში შეიჭრნენ. როდესაც ადგილობრივებმა მახტოს ცხედარი აღმოაჩინეს, ვისაც რით შეეძლო, შეიარაღდა და ცხოველები უკან, ჯუნგლებში გარეკეს.

დაღუპული ქალის ოჯახს სახელმწიფომ ფულადი კომპენსაცია გადასცა, ხოლო ადგილობრივებს გარეული ცხოველების დასაფრთხობად მაშხალები და დაფდაფები დაურიგეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხვიჩა კვარაცხელია: „მე და ნაპოლის ზღვარი არ გვაქვს“

ქართული ფეხბურთისა და არამარტო ქართულის, იტალიისა და სრულიად ევროპის ბოლო დროის პოპულარული თემა ხვიჩა კვარაცხელიაა.

21 წლის ქართველი ფეხბურთელით აპენინური მედიის ერთ-ერთი წამყვანი სპორტული გამოცემა, „კორიერე დელო სპორტი“, დაინტერესდა.

– ნაპოლის რამდენი ქულით შეაფასებდით?

– ადვილია – 10 ქულა! ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. თუ ასე გავაგრძელებთ, შეგვიძლია, იმაზე მაღალ მიზნებს მივაღწიოთ, ვიდრე ყველა ფიქრობს. ჩემთვის ყველა ტიტული ოცნებაა. ამსტერდამში მაგიური გამარჯვება იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, ყოველთვის მეტზე უნდა ვიფიქროთ.

– ლუჩანო სპალეტი ბევრს გაქებთ და ბევრსაც გაკრიტიკებთ.

– პირველად მილანში, მისივე სახლში შევხვდი. მართლაც დიდებული მწვრთნელია. მეუბნება, რას ვაკეთებ სწორად და რას – არა. მეხმარება გაუმჯობესებაში. ნამდვილი მაესტროა.

– არის თუ არა ახლა გულშემატკივრებში კვარამანია?

– სასიამოვნოა, რომ ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ, როცა ვთამაშობ, სწორედ ამ მოტივით მაქსიმალურად ვიხარჯები, მაქსიმუმზე მეტის გაკეთებასაც ვცდილობ.

– კვარადონა თუ კვარავაჯო?

– არ ვიცი, მართლა არ ვფიქრობ ამაზე და არც მინდა ვიფიქრო. ეს არ შეიძლება. მარადონა ძალიან დიდია, ყველაფერზე დიდი. მე ჩემი კვარაც მომწონს.

– თავმდაბლობა გახასიათებთ.

– ეს მშობლებმა მასწავლეს. ასე გავიზარდე. არ მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც აზვიადებენ და ბევრს ლაპარაკობენ. მხოლოდ ის ვიცი, რომ მაქსიმუმი უნდა გავაკეთო, მერე ხალხი შეაფასებს, კარგი იყო თუ არა.

– ნაპოლის როგორ შეეწყვეთ და რას იტყვით მთლიანად გუნდზე?

– ეს დიდი ოჯახია, ძალიან ერთიანი ჯგუფი, რომელიც ბევრს მუშაობს და ერთი მიმართულებით იყურება. გარდა ამისა, როგორც გუნდი, ძალიან ძლიერია.

– არის გუნდის მიზანი სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი?

– სკუდეტო, რა თქმა უნდა, მართლა ოცნებაა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაში კი ამ ეტაპზე ისედაც ჩვენი მიზანია.

– არის ის შესაძლებლობები ზღვარი, რომელსაც პირადად თქვენ და ნაპოლი აქამდე აჩვენებდით?

– ზღვარი არცერთს არ გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია, ერთად გავიზარდოთ, ხელიხელჩაკიდებულები. ზღვარი არც მე მაქვს და არც ნაპოლის.

– სერია ა-ში კიდევ ერთი ქართველი, ლუკა ლოჩოშვილი, თამაშობს. იცნობთ?

– ჩვენ ახლო მეგობრები ვართ, ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს, რადგან დინამო თბილისში ვთამაშობდით. ახლა საქართველოს ნაკრებშიც ერთად ვართ. ძალიან მიხარია, რომ მას ვნახავ, მაგრამ, ნაკლებად მახარებს, რომ მის წინააღმდეგ თამაში მომიწევს (კვარაცხელიას ნაპოლიმ და ლოჩოშვილის კრემონეზემ გუშინ გვიან ითამაშეს).

– ოჯახისგან მოწყვეტილი ხართ?

– არა, თითქმის ყოველთვის ჩემთან არიან. მშობლები და ჩემი ორი ძმა – უფროსიც და უმცროსიც, რომელიც 12 წლისაა. ის საქართველოში თამაშობს და მართლა ძალიან ნიჭიერია, თორნიკე ჰქვია.

– მასაც ხომ არ უნდა ნაპოლიში თამაში?

– შეიძლება, რატომაც არა.

– როგორც ვიცით, შეყვარებული გყავთ.

– ამჟამად საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ ხანდახან ჩემთან ჩამოდის, უნივერსიტეტში სწავლობს.

– კარლო ანჩელოტიმ თქვა, ნაპოლიში კვარაცხელიას ჩემი მუშაობის დროსაც ვაკვირდებოდითო.

– ეს დიდი ემოცია იყო, ძალიან გამიხარდა და მთელი გულით მადლობას ვუხდი.

– არჩევანის წინაშე რომ დადგეთ – სკუდეტო თუ ჩემპიონთა ლიგა?

– რატომ უნდა ავირჩიო? მე ორივეს ავირჩევ. ვინ იცის, რა მოხდება.

– ნეაპოლზე რას იტყვით?

– ბაზასთან ახლოს ვცხოვრობ და, ვინაიდან ძალიან დაკავებული ვარ, ჯერ არ მქონია ნეაპოლის კარგად ნახვის საშუალება, მაგრამ, რაც ვნახე, ძალიან მომწონს. ფანებისგან სითბოს ვგრძნობ. ზოგადად, არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს. ზუსტად ისეა, როგორც მითხრეს. აქ ფეხბურთზე გიჟდებიან, უსაზღვროდ უყვართ. ნეაპოლში მარადონა ყველას უყვარს, ყველა მასზე ლაპარაკობს, ყველგან ის არის.

– ბევრ ფეხბურთელს გადარჩენენ, მაგალითად, ჯორჯ ბესტს.

– ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ვფიქრობ, მის დონემდე მიღწევა რთულია. მოდით, ასე ვთქვათ – მინდა, ჩემს დონეს მივაღწიო და საკუთარი თავისთვის ვმუშაობ, რათა კვარა ვიყო.

– ბავშვობის კერპი ვინ იყო?

– კრიშტიანო რონალდუ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი სიყვარული გუტი იყო. როცა მეგობრებთან ერთად თბილისში, ჩემს ქალაქში ვთამაშობდი, თეთრი მაისურები გვეცვა და ზურგზე მისი სახელი დავიწერე.

შედეგები

8 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-ლესტერი 2:1
სიტი-საუთჰემპტონი 4:0
ნიუკასლი-ბრენტფორდი 5:1
ჩელსი-ვულვზი 3:0
ბრაიტონი-ტოტენჰემი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	9	7	2	0	33-9	23
2.არსენალი	8	7	0	1	20-8	21
3.ტოტენჰემი	9	6	2	1	20-10	20
4.ჩელსი	8	5	1	2	13-10	16
5.ნიუკასლი	9	3	5	1	17-9	14
6.ბრაიტონი	8	4	2	2	14-9	14
7.მანჩესტერი	7	4	0	3	11-14	12
8.ბორნმუთი	9	3	3	3	8-20	12
9.ფულემი	8	3	2	3	13-15	11
10.ლივერპული	7	2	4	1	18-9	10
11.ევერტონი	8	2	4	2	7-7	10
12.ბრენტფორდი	9	2	4	3	16-17	10
13.ლიდსი	7	2	3	2	10-10	9
14.ასტონ ვილა	8	2	2	4	6-10	8
15.ვესტ ჰემი	8	2	1	5	5-9	7
16.საუთჰემპტონი	9	2	1	6	8-17	7
17.კრ.პალასი	7	1	3	3	8-11	6
18.ვულვზი	9	1	3	5	3-12	6
19.ლესტერი	9	1	1	7	15-24	4
20.ნოტინგემი	8	1	1	6	6-21	4

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ბრისტოლი 3:0
ბლექბერნი-როტერჰემი 3:0
ბლექპული-უოტფორდი 3:1
ვესტ ბრომვიჩი-ლუთონი 0:0
ქოვენთრი-ბარნლი 0:1
მილუოლი-მიდლსბრო 2:0
ნორვიჩი-პრესტონი 2:3
სტოკი-შეფილდი 3:1
სუონსი-სანდერლენდი 2:1
უიგანი-კარდიფი 1:3

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ვოლფსბურგი 1:1
ლევერკუზენი-შალკე 4:0
ბოზუმი-აინტრახტი 3:0
მაინცი-ლაიფციგი 1:1
დორტმუნდი-ბაიერნი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.უნიონი	8	5	2	1	15-6	17
2.ფრაიბურგი	8	5	2	1	12-6	17
3.ბაიერნი	9	4	4	1	25-8	16
4.დორტმუნდი	9	5	1	3	13-12	16
5.ვერდერი	9	4	3	2	20-14	15
6.ჰოფენჰაიმი	9	4	2	3	14-10	14
7.აინტრახტი	9	4	2	3	16-16	14
8.კიოლნი	8	3	4	1	14-10	13
9.აუგსბურგი	9	4	1	4	9-13	13
10.ლაიფციგი	9	3	3	3	14-13	12
11.გლადბახი	8	3	3	2	11-10	12
12.მაინცი	9	3	3	3	9-13	12
13.ვოლფსბურგი	9	2	3	4	9-15	9
14.ლევერკუზენი	9	2	2	5	13-16	8
15.ჰერტა	8	1	4	3	8-10	7
16.შალკე	9	1	3	5	10-21	6
17.შტუტგარტი	8	0	5	3	9-13	5
18.ბოხუმი	9	1	1	7	8-23	4

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ზ.პაული 2:1
ჰანზა-პადერბორნი 0:3
დარმშტადი-ფორტუნა 1:0
ჰამბურგი-კაიზერი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალმერია-რაიო 3:1
ატლეტიკო-ხირონა 2:1
სევილია-ბილბაო 1:1
ხეტაფე-რეალი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	8	7	1	0	19-7	22
2.ბარსელონა	7	6	1	0	19-1	19
3.ბილბაო	8	5	2	1	17-5	17
4.ატლეტიკო	8	5	1	2	14-7	16
5.ბეტისი	7	5	0	2	10-5	15
6.ვალენსია	8	4	1	3	14-8	13
7.რეალი	7	4	1	2	12-11	13
8.ოსასუნა	8	4	1	3	9-8	13
9.ვილიარეალი	7	3	3	1	10-2	12
10.რაიო	8	3	1	4	10-12	10
11.სელტა	7	3	1	3	9-13	10
12.მალიორკა	7	2	2	3	6-8	8
13.ხირონა	8	2	1	5	11-14	7
14.ვალიადოლიდი	7	2	1	4	6-13	7
15.ალმერია	8	2	1	5	7-12	7
16.ხეტაფე	8	2	1	5	8-16	7
17.სევილია	8	1	3	4	8-14	6
18.ესპანიოლი	7	1	2	4	9-14	5
19.კადისი	7	1	1	5	1-14	4
20.ელჩე	7	0	1	6	3-18	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

პონფერადინა-გრანადა 0:0
ლას პალმასი-იბიცა 0:0
უესკა-ლუგო 1:1
ბურგოსი-ალავესი 3:0

იტალია. სერია ა

სასუოლო-ინტერი 1:2
მილანი-იუვენტუსი 2:0
ბოლონია-სამპდორია 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	8	6	2	0	18-5	20
2.მილანი	9	6	2	1	18-9	20
3.ატალანტა	8	6	2	0	12-3	20
4.უდინეზე	8	6	1	1	17-8	19
5.ლაციო	8	5	2	1	17-5	17
6.რომა	8	5	1	2	10-8	16
7.ინტერი	9	5	0	4	16-14	15
8.იუვენტუსი	9	3	4	2	12-7	13
9.სასუოლო	9	3	3	3	11-10	12
10.ტორინო	8	3	1	4	6-10	10
11.ფიორენტინა	8	2	3	3	7-7	9
12.სპეცია	8	2	2	4	7-15	8
13.ლეჩე	8	1	4	3	7-9	7
14.სალერნიტანა	8	1	4	3	10-13	7
15.ემპოლი	8	1	4	3	7-10	7
16.ბოლონია	9	1	4	4	8-14	7
17.მონცა	8	2	1	5	7-14	7
18.ვერონა	8	1	2	5	7-15	5
19.კრემონეზე	8	0	3	5	6-15	3
20.სამპდორია	9	0	3	6	5-17	3

იტალია. სერია ბ

ასკოლი-მოდენა 1:2
ბრეშა-ჩიტადელა 1:1
ვენეცია-ბარი 1:2
პიზა-პარმა 0:0
ტერნანა-პაერმო 3:0
რევჯინა-კოზენცა 3:0
ფროზინონე-სპალი 2:0

საფრანგეთი. ლიგა 1

მარსელი-აიაჩო 1:2
რეიმსი-პსჟ 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	10	8	2	0	28-5	26
2.მარსელი	10	7	2	1	20-7	23
3.ლორიანი	9	7	1	1	19-13	22
4.ლანსი	9	6	3	0	17-7	21
5.მონაკო	9	5	2	2	17-13	17
6.რენი	9	4	3	2	17-9	15
7.ლიონი	10	4	2	4	17-12	14
8.ლილი	9	4	1	4	17-18	13
9.კლერმონი	9	4	1	4	12-14	13
10.მონპელიე	9	4	0	5	21-19	12
11.ტულუზა	10	3	3	4	14-16	12
12.ტრუა	9	3	2	4	16-18	11
13.ნიცა	9	2	2	5	6-11	8
14.რეიმსი	10	1	5	4	11-18	8
15.ოსერი	9	2	2	5	9-20	8
16.ანჟე	9	2	2	5	9-21	8
17.ნანტი	9	1	4	4	9-15	7
18.აიაჩო	10	2	1	7	7-15	7
19.ბრესტი	9	1	3	5	9-19	6
20.სტრასბური	9	0	5	4	7-12	5

საფრანგეთი. ლიგა 2

ბორდო-მეცი 2:0
ამიენი-დიჟონი 2:1
ლე ავრი-ბასტია 3:0
გენგამი-ანსი 0:4
გრენობლი-ლავალი 3:2
კაენი-ნიორი 1:0
კევიი-ნიმი 3:1
პო-როდეზი 2:2
პარიზი-ვალანსიენი 0:1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ვოლენდამი-აიაქსი 2:4
სპარტა-ემენი 3:1
ნაიმეგენი-ექსელსიორი 1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-სპორტინგი 1:2
ბენფიკა-რიუ ავე 4:2
პორტიმონენშე-პორტუ 0:2
ფერეირა-გიმარაეში 0:1

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-კორტრაიკი 2:1
ვარეგემი-ლეუვენი 2:5
სერენი-ოსტენდე 1:1
ბრიუგე-ვესტერლო 0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-ლუშტენაუ 2:1
ლინცერი-ჰარტბერგი 0:3
ალტახი-ზზალცბურგი 2:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.ჯონსონი-სელტიკი 1:2
ლივინგსტონი-როსი 0:1
რეინჯერესი-სტ.მირენი 4:0
ჰიბერნიანი-მოზერველი 1:0
დ.იუნაიტედი-აბერდინი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ისტანბული-ანკარაგიუჯიუ 1:2
ანთალია-ქონია 1:1
გირესუნი-ბეშიქთაში 0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ვოლოსი 2:3

პანეთოლიკოსის პირველი გოლი ლევან შენგელიამ გაიტანა

იონიკოსი-ლამია 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-სიონი 4:4
იანგ ბოიზი-სტ.გალენი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჰრადეც კრალოვე-ტეპლიცე 4:1
ბრნო-სპარტა 0:4
პარდუბიცე-იაბლონეცი 1:0
პლზენი-ბოლესლავი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

სლასკი-გურნიკი 4:1
ლეგია-ვარტა 1:0
კრაკოვია-ლეხია 0:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-ვაშაში 2:0
ჰონვედი-მეზეკოვეშდი 2:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ვორსკლა-ჩერნომორეცი 2:1

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

დეგერფორსი-სირიუსი 0:0

ნორვეგია. ელიტსერია

სარპსბორგი-ჰაუგესუნდი 4:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ღაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კლდის ვეფხვად წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. რეგიონი კახეთში; 7. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ძველად; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. ძველებური სავაჭრო-სასადილო; 15. ხორბლის ქართული ჯიში; 17. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 20. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

თარაზულად: 5. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 6. მადრიდის „ატლანტიკოს“ მწვრთნელი; 9. უმცროსი მეთაური, კაპიტნის თანაშემწე გემზე; 10. უბანი სოხუმში; 11. ირანსა და შუა აზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 13. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. ბატონის მიერ ეკლესიის მფარველობაში გადაცემული ყმა-გლეხი ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 19. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 21. სპეციალური საბალეტო ფეხსაცმელი; 22. მეტროს სადგური თბილისში; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დოფინი; 2. რაბინი; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. რულეტი; 8. ინტელი; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. გუდაური; 15. ფილიპსი; 19. ბილი.

თარაზულად: 1. დეიტერიუმი; 4. სამხარი; 7. ფორნებუ; 9. ვაჩნაძე; 10. ათინა; 12. სტეტსონი; 16. ციხეგოჯი; 17. რეკორდი; 18. დარბაზობა; 20. ტელფერი; 21. ცემი; 22. გარდიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შტირია; 2. ალიპკა; 3. ენისელი; 4. კარდიფი; 5. მენისკი; 7. გერნიკა; 11. იანძი; 12. დიქცია; 13. ძილქუში; 14. ბასმაჩი; 15. დავითი; 17. ფესახი; 19. მახა.

თარაზულად: 5. მარტელი; 6. ბიონიკა; 8. კურუ; 9. მენჯი; 10. სავანა; 11. იედო; 13. ძალაყინი; 14. ბინგო; 16. უფიცა; 18. სექტა; 20. ჩარხილი; 21. თარხანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7997

ევრო — 2.7429

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1340

100 რუსული რუბლი — 4.5710

ამინდის პროგნოზი 10 ოქტომბრისათვის

მემფის დეპაი მოედანზე მალე დაბრუნდება

ბარსელონის ჰოლანდიელი შემტევი მემფის დეპაი მოედანზე მალე დაბრუნდება და შესაძლოა ის რეალის წინააღმდეგაც ვიხილოთ, თუმცა ეს ვარიანტი აქტიურად არ განიხილება. დეპაიმ ტრავმა ჰოლანდიის ნაკრებში მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოჩენილა. დეპაიმ განაცხადა, რომ სურს, მალე დაბრუნდეს და ბარსელონას მაქსიმალურად დაეხმაროს.

ანჩელოტი: „ხეტაფეს თან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“

მადრიდის რეალმა სტუმრად ხეტაფე დაამარცხა და მათ დროებით პირველი ადგილი დაიბრუნეს. მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ის კმაყოფილია შედეგით, თუმცა თამაშის ხარისხი შესაძლოა უკეთესიც ყოფილიყო: „ხეტაფე იოლი მეტოქე არ არის და მათი დამარცხება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. მინდა, ასე გავაგრძელოთ და ჩემპიონობისთვის ყველა მატჩის მოგებაა საჭირო“.

ლევანდოვსკი: „ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი ჩვენს ხელშია“



ბარსელონის ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ კარგი შანსი აქვთ, ჯგუფიდან გავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონა ინტერთან და ბაიერნთან დამარცხდა: „სამწუხაროა, რომ ორი მატჩი წავაგეთ, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ და დარჩენილ მატჩებზე ვიფიქროთ. თუ ყველა მატჩს მოვიგებთ, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

ქალი ექიმს ეკითხება:
– ექიმო, ჩემი ქმარი მთელი დღე ჩემგან ინტენსიურ სექსს ითხოვს და რა გავაკეთო?
– ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი!

●●●

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:
– ჩემი ქმარი წესრიგს ვერაფრით შევაჩვიე...
– რატომ?
– ყოველ ჯერზე საფულეს ახალ ადგილზე მალავს!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– როგორ მიდის საქმეები ახალ სამსახურში?
– როგორ და ზოგჯერ თავს ჭკვიანად წარმოვაჩენ, რომ მეტი გადამიხადონ... ზოგჯერ კი სულელად, რომ ნაკლები ვიმუშაო.

●●●

ბავშვს ეკითხებიან:
– ვის უფრო მეტად უსმენ, მამას თუ დედას?
– დედას.
– რატომ?
– ის უფრო ბევრს ლაპარაკობს.

●●●

გამომძიებელი მამაკაცს ეკითხება:
– მოგვიყევით, როგორ შეიშალა ჭკუიდან თქვენი მეუღლე.
– მთებში ვმოგზაურობდით, სადაც შესანიშნავი ექოა, მაგრამ ჩემი ცოლი მიჩვეული იყო, რომ ბოლო სიტყვა ყოველთვის მას უნდა ეთქვა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანა შელია ბიჭის დედა გახდა

მოდელი ანა შელია ბიჭის დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს მშობლებმა ვატო დაარქვეს.

სასიხარულო ინფორმაცია მოდელმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და პატარას პირველი ფოტოც გამოაქვეყნა.

ანასთვის ეს მეორე შვილია. მას და მის მეუღლეს, ლაშა ლომიძეს, პირველი გოგონა – ელიე ჰყავთ.

ანამ და ლაშამ პატარა ვატოსთან ერთად უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

ალექსანდრე კორსანტია თბილისში კონცერტს გამართავს

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია თბილისში კონცერტს გამართავს.

მუსიკოსი მსმენელის წინაშე კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარდგება.

28 ოქტომბერს მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანის ინიციატივითა და შატო მუხრანის მხარდაჭერით ეროვნული სიმფონიური ორკესტრი კიევის კამერატას მუსიკოსებს უმასპინძლებს.

სადირიჟორო პულტთან ვახტანგ მაჭავარიანი იდგება, სოლისტი – ალექსანდრე კორსანტია.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუსიკოსები მაესტროსთან ერთად ბეთჰოვენის ნაწარმოებებს შეასრულებენ.

ლადო ასათიანის საიუბილეო საღამოს წინანდლის მამულმა უმასპინძლა

პოეტ ლადო ასათიანის საიუბილეო საღამოს ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის მამულმა უმასპინძლა.

შემოქმედის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით წინანდლის მამულში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები შეიკრიბნენ.

საღამოს ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა. წინანდლის მუზეუმში – მუდამ ცნობილი პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების თავშეყრის ადგილას – ლადო ასათიანის ლექსების საჯარო კითხვა გაიმართა და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოები გამოიფინა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი: „ძალიან ცუდი ამბებია გელათიდან“

ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი აცხადებს, რომ გელათის ტაძრის ფრესკები უმძიმეს მდგომარეობაშია:

– ძალიან ცუდი ამბებია გელათიდან.

დავით აღმაშენებლის დროს გაწყობილ ღმრთისმშობლის მოზაიკაზე დაიწყო ზედაპირის ცვენის პროცესი. ტაძარში ჩასულმა წყალმა მოაძრო წმინდა მარიამის თვალთან მონაკვეთი. ეს ყველაზე სუსტი ადგილი იყო მოზაიკაზე, ადრე ტონირებული, ამიტომაც ჯერ ის ჩამოვარდა. ლაქები გარშემოც გამოიკვეთა. ჩამოცვივდება სმალტებიც. ჩანს, რომ პროცესი ინტენსიურია.

საუკუნის დანაშაულია!

ხელნაწერთა ცენტრმა უნიკალური ექსპონატები გამოფინა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჩართულობით საქართველოს პარლამენტში ქართული ხელნაწერების ასლების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია გაიხსნა.

ექსპონატები საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან არსებულ სივრცეში განთავსდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ვახტანგ VI-ის „ქიმია“, ვახუშტი ბატონიშვილის „მსოფლიოს გეოგრაფია“, მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, „ვეფხისტყაოსნის“ სამი უნიკალური ნუსხა – იმერეთის მეფე სოლომონ I-ის კუთვნილი, „წერეთლისეული“, მეფე გიორგი XI-ის დაკვეთით შექმნილი, „ბეგთაბეგისეული“ და ერთ-ერთი ყველაზე ადრეული, „ავალიშვილისეული“, ტბელ აბუსერისძის ასტრონომიული ნაშრომი; ასევე, გამორჩეული ძველნაბეჭდი წიგნები და პერიოდული გამოცემები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“.

მულაჟების ავტორია საქართველოს კალიგრაფთა ასოციაციის წევრი, კალიგრაფი დავით მაისურაძე.

მულაჟები აკინძა, კაპტალები შექმნა და ყდებით შემოსა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაციის ლაბორატორიის მკინძველ-რესტავრატორმა ინგა ბასილაძემ.

პროექტი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე“ უკრაინულად ითარგმნა

ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის გახმაურებული რომანი „მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის) უკრაინულად ითარგმნა.

„მერვე სიცოცხლე“ გერმანულიდან უკრაინულად როკსოლანა სვიატომ თარგმნა.

მკითხველი დიდი ინტერესით ელოდა მწერლის ამ რომანს და პირველი ეგზემპლარები უკვე სრულად გაყიდულია.

ნინო ხარატიშვილის რომანის უკრაინულად თარგმნა უკრაინაში გოეთეს ინსტიტუტისა და ევროპის სახლის ხელშეწყობით მოხერხდა.

მერაბ სეფაშვილი დაბადების დღეს თელავში კონცერტით აღნიშნავს

15 ოქტომბერს მომღერალი მერაბ სეფაშვილი იუბილარია. მას 61 წელი შეუსრულდება. დაბადების დღეს ხელოვანი თელავის თეატრში დაგეგმილი კონცერტით აღნიშნავს.

საიუბილეო საღამოში მერაბ სეფაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მისი მეგობრები და ბენდი.

იუბილარ მომღერალთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგებიან გია მაჭარაშვილი, ბექა ცხომელიძე, ქეთი კვიცარიძე, თემურ ნიკოლაიშვილი, ნიკა ჩარკვიანი.

მერაბ სეფაშვილი ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადება და შემოქმედებით ჯგუფთან ერთად შეკრებილ საზოგადოებას განახლებულ საკონცერტო პროგრამას შესთავაზებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



10 ოქტომბრისათვის

ვერძი – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანცელი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **მერწყული** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ფარმაცევტული ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 3. სამართლის დარღვევა, დანაშაული; 4. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 5. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 6. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 9. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 19. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ავტომატურად ჩამრთავ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

თარაზულად: 1. მამაკაცის ძალიან წვრილი ქალისებრი ხმა; 3. ძველებური სატუსაღო; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. ყვითელი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 12. მაღალხარისხოვანი მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 14. მწყრის მართვე; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა, იყენებენ საწვავად, სასუქად; 19. ხშირი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 20. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული გმირი; 21. მთიანეთი ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა